

## საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

<p>არჩევნების დანიშვნის დღე</p>	<p>1 ივლისი ორშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებსა და ნომრებს ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია არა უგვიანეს არჩევნების წლის <b>1 ივლისისა</b> (23-ე მუხლის მე-2 პუნქტი)             <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცესკო <b>2 დღის</b> ვადაში აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით (23-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</li> </ul> </li> <li>2. არჩევნების <b>დანიშვნის დღიდან</b> მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე დაუშვებელია პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრის გამოწვევა (მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი)</li> <li>3. იწყება წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) (45-ე მუხლის პირველი პუნქტი)</li> <li>4. არჩევნების <b>დანიშვნის დღიდან</b> ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან <b>1 თვის</b> განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (შემდეგში - საარჩევნო კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინება (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</li> <li>5. არჩევნების <b>გამოცხადებიდან</b> არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან, დაიცვან საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები (50-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</li> <li>6. <b>ამოღებულია</b> (ცესკოს განკარგულება №230/2013)</li> <li>7. <b>24 საათის</b> შემდეგ <b>არჩევნების დღემდე</b> პერიოდში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საერთო მაუწყებელი, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში (თანამგზავრული მაუწყებლობისათვის მაუწყებლობის ზონა არის საქართველოს მთელი ტერიტორია), აგრეთვე საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-ისათვის; ამ შემთხვევაში მაუწყებელს არ წარმოეშობა მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან მაუწყებლის არხის ტრანზიტული გავრცელებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის უზრუნველყოს ამ პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლების არხების თანაბარი და არადისკრიმინაციული ფინანსური პირობებით მიწოდება (51-ე მუხლის მე-17 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №216/2013)</li> <li>8. საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების სიას ადგენს შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაური და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს საარჩევნო წლის არა უგვიანეს <b>1 ივლისისა</b> (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "და" ქვეპუნქტი)</li> <li>9. საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან <b>2 კალენდარული დღის</b> ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს <b>მე-14 დღისა</b> (31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)             <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ</li> </ul> </li> </ol>
---	------------------------------	---

		<p>მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის <b>მომდევნო დღიდან</b>, მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს (31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ <b>2 დღის</b> ვადაში გადაეცემა ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს (31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013)</li> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან <b>2 დღის</b> ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი)</li> <li>➤ სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება <b>2 დღის</b> ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს <b>მე-11 დღისა</b>, უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013)</li> </ul>
არა უგვიანეს 117-ე დღისა	2 ივლისი სამშაბათი	უფლებამოსილი პარტიები ცესკოს წარუდგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უგვიანეს 116-ე დღისა	3 ივლისი ოთხშაბათი	ცესკო აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას უბნების საზღვრების მითითებით (23-ე მუხლის მე-2 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b>
არა უგვიანეს 115-ე დღისა	4 ივლისი ხუთშაბათი	ცესკო აცხადებს კონკურსს, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადაში, საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის არჩევის მიზნით (მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი; ცესკოს განკარგულება №165/2013)
არა უადრეს 114-ე დღისა	5 ივლისი პარასკევი	ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის ასარჩევად კონკურსანტთა საბუთების წარდგენა (ცესკოს განკარგულება №165/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უგვიანეს 113-ე დღისა	6 ივლისი შაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და ყოველ საარჩევნო ოლქში (31-ე მუხლის მე-14 პუნქტი)</li> <li>2. ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის ასარჩევად კონკურსანტთა საბუთების წარდგენა (ცესკოს განკარგულება №165/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></li> </ol>
არა უგვიანეს 111-ე დღისა	8 ივლისი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის არჩევა ცესკოს მიერ (მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი)</li> <li>2. უფლებამოსილი პარტიები ცესკოს წარუდგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> </ol>
არა უგვიანეს 110-ე დღისა	9 ივლისი სამშაბათი	თუ უფლებამოსილი პარტიები დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკოს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 13-მდე შეავსოს (მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი)
არა უგვიანეს 108-ე დღისა	11 ივლისი ხუთშაბათი	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას (46-ე მუხლის მე-5 პუნქტი)
არა	15 ივლისი	ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით, საარჩევნო კოდექსის 31-ე

უგვიანეს 104-ე დღისა	ორშაბათი	მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული დაწესებულებები საარჩევნო უფლების მქონე პირთა შესახებ, ხოლო იმავე პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული დაწესებულებები საარჩევნო უფლების არმქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ ცესკოს. ამ მონაცემების საფუძველზე ცესკო უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლებას (31-ე მუხლის მე-6 პუნქტი)
არა უგვიანეს 69-ე დღისა	19 აგვისტო ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს (ცესკოს განკარგულება №168/2013)
არა უგვიანეს 67-ე დღისა	21 აგვისტო ოთხშაბათი	საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ სპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით ცესკო სხვა სახელმწიფოში - ავღანეთში ქმნის საარჩევნო უბნებს (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)
არა უგვიანეს 64-ე დღისა	24 აგვისტო შაბათი	<b>იწყება</b> ავღანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეციალური ჯგუფების ოთხ-ოთხი წევრის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად საკონკურსო საბუთების წარდგენა ცესკოში (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)
64-ე დღიდან	24 აგვისტო შაბათი	ავღანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეცჯგუფების სამ-სამ წევრს ურთიერთშეთანხმებით ნიშნავენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ჰყავთ დანიშნული წევრები ცესკოში (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
მე-60 დღიდან	28 აგვისტო ოთხშაბათი	1. არჩევნების დღემდე <b>მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით</b> აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ <b>60 დღით</b> ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება (49-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №230/2013)
		2. არჩევნების დღემდე <b>მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით</b> აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ <b>60 დღით</b> ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება (49-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №230/2013)
არა უგვიანეს 58-ე დღისა	30 აგვისტო პარასკევი	<b>მთავრდება</b> ავღანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეციალური ჯგუფების ოთხ-ოთხი წევრის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად საკონკურსო საბუთების წარდგენა ცესკოში (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)
არა უადრეს 56-ე დღისა	1 სექტემბერი კვირა	ცესკო ირჩევს ავღანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეცჯგუფების ოთხ-ოთხი წევრს (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უგვიანეს	2 სექტემბერი	ცესკო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა

55-ე დღისა	ორშაბათი	და ჩატარების დაფინანსების გეგმას (53-ე მუხლის პირველი პუნქტი)
არა უგვიანეს 54-ე დღისა	3 სექტემბერი სამშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მთავრდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში (ცესკოს განკარგულება №168/2013)</li> <li>2. ცესკო ირჩევს ავლანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეცგუფების ოთხ-ოთხ წევრს (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) (ბოლო ვადა)</li> <li>3. ავლანეთში შექმნილი საარჩევნო უბნების სპეცგუფების სამ-სამ წევრს ურთიერთშეთანხმებით ნიშნავენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ჰყავთ დანიშნული წევრები ცესკოში (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) (ბოლო ვადა)</li> </ol>
არა უადრეს 53-ე დღისა	4 სექტემბერი ოთხშაბათი	<p>თუ სპეციალურ ჯგუფებში უფლებამოსილი პარტიების მიერ არ იქნა ცესკოში წარმოდგენილი პარტიის გადაწყვეტილება სპეცგუფის წევრის დანიშვნის შესახებ, ან თუ უფლებამოსილება ვადადმდე შეუწყდა სპეციალური ჯგუფის ცესკოს მიერ არჩეულ წევრს, წარმოქმნილ ვაკანსიას ავსებს ცესკო (ცესკოს განკარგულება №251/2013, №255/2013) (საწყისი ვადა)</p>
არა უგვიანეს 52-ე დღისა	5 სექტემბერი ხუთშაბათი	<p>თუ სპეციალურ ჯგუფებში უფლებამოსილი პარტიების მიერ არ იქნა ცესკოში წარმოდგენილი პარტიის გადაწყვეტილება სპეცგუფის წევრის დანიშვნის შესახებ, ან თუ უფლებამოსილება ვადადმდე შეუწყდა სპეციალური ჯგუფის ცესკოს მიერ არჩეულ წევრს, წარმოქმნილ ვაკანსიას ავსებს ცესკო (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) (ბოლო ვადა)</p> <p>➤ სპეცგუფის სრულად დაკომპლექტებიდან 5 დღის ვადაში, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, მოიწვევა სპეცგუფის პირველი სხდომა, ამ სპეცგუფის ხელმძღვანელი პირების არჩევის მიზნით (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)</p>
არა უგვიანეს 50-ე დღისა	7 სექტემბერი შაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საოლქო საარჩევნო კომისიები აზუსტებენ შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრებს, ასევე საარჩევნო უბანში შემავალი შენობა-ნაგებობათა ნუსხასა და მისამართებს, და დაზუსტებულ საზღვრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებენ (23-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</li> <li>2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს რიცხავს ცესკოს ანგარიშზე (53-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</li> <li>3. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ (რომელიც რეგისტრირებულია ცესკოში) და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. ხოლო პარტიამ, რომელსაც არ აქვს საარჩევნო რეგისტრაცია ცესკოში და სურს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის წარადგინოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, საარჩევნო კოდექსის 98-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს, რის შემდეგაც მას უფლება აქვს, შეაგროვოს ამ კანონით დადგენილი რაოდენობის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები, რაც შესაძლებელს ხდის, მხოლოდ ამ არჩევნებისათვის ერთდროულად გაიარონ რეგისტრაცია მან, როგორც საარჩევნო სუბიექტმა, და მის მიერ წარდგენილმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა (98-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 185-ე მუხლი, ცესკოს განკარგულება №255/2013)</li> </ol> <p>➤ საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური ამოწმებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საბუთებს და საბუთების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც წყვეტს საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის საკითხს. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომელსაც ეძლევა 3 დღე საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან 2 დღეში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს,</p>

		<p>რომელსაც უფლება აქვს, მოთხოვნისთანავე მიიღოს ეს გადაწყვეტილება (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>➤ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ ცესკოსთვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს <b>მე-2 დღისა</b> დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგინდეს საარჩევნო კოდექსის 99<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. თანამდებობის პირის გადადგომის/გათავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი <b>დაუყოვნებლივ</b> წარედგინება ცესკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა, იგი უქმდება (99<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ცესკოს განკარგულება №230/2013)</p> <p>4. ცესკოს სათანადო სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას სპეცგულების წევრთა ვინაობის შესახებ (სახელი გვარი, პირადობის მოწმობისა და პასპორტის ასლები, პირადი ნომრები და ინფორმაცია სისხლის ჯგუფის შესახებ) (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)</p>
50-ე დღიდან	7 სექტემბერი შაბათი	<p>სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებული არიან <b>კენჭისყრის დღემდე</b> დაიცვან საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები (50-ე მუხლის პირველი პუნქტი, ცესკოს განკარგულება №216/2013) (საწყისი ვადა)</p>
არა უადრეს 50-ე დღისა	7 სექტემბერი შაბათი	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს (25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №168/2013) (საწყისი ვადა)</p> <p>2. უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (25-ე მუხლის მე-6 პუნქტი) (საწყისი ვადა)</p>
არა უგვიანეს 49-ე დღისა	8 სექტემბერი კვირა	<p>საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური ამოწმებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საბუთებს და დასკვნას წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც წყვეტს საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის საკითხს (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p> <p>➤ თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე <b>2 დღის</b> ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომელსაც ეძლევა <b>3 დღე</b> საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან <b>2 დღეში</b> (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p>
არა უგვიანეს 48-ე დღისა	9 სექტემბერი ორშაბათი	<p>დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგინდეს საარჩევნო კოდექსის 99<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. თანამდებობის პირის გადადგომის/გათავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი <b>დაუყოვნებლივ</b> წარედგინება ცესკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა, იგი უქმდება 99<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ცესკოს განკარგულება №230) (ბოლო ვადა)</p>
არა უგვიანეს 47-ე დღისა	10 სექტემბერი სამშაბათი	<p>1. თუ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p> <p>➤ საინიციატივო ჯგუფს ეძლევა <b>3 დღე</b> საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან <b>2 დღეში</b> (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>2. იმართება ავღანეთში შექმნილი საარჩევნო უზნების სპეცგულების პირველი სხდომა (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) (ბოლო ვადა)</p>
არა	11	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს (25-ე</p>

უგვიანეს 46-ე დღისა	სექტემბერი ოთხშაბათი	<p>მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №168/2013) (ბოლო ვადა)</p> <p>2. უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (25-ე მუხლის მე-6 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p>
არა უგვიანეს 45-ე დღისა	12 სექტემბერი ხუთშაბათი	ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს, რიცხავს საოლქო საარჩევნო კომისიის მიმდინარე ანგარიშზე (53-ე მუხლის მე-4 პუნქტი)
არა უგვიანეს 44-ე დღისა	13 სექტემბერი პარასკევი	<p>საინიციატივო ჯგუფის მიერ საბუთებში არსებული ხარვეზის შესწორებისა და ცესკოში წარდგენის <b>ბოლო ვადა</b> (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>➤ შესწორებული საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან <b>2 დღეში</b> (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p>
არა უგვიანეს 42-ე დღისა	15 სექტემბერი კვირა	საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის <b>ბოლო ვადა</b> . რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია <b>დაუყოვნებლივ</b> აცნობებს თავის გადაწყვეტილებას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომელსაც უფლება აქვს, <b>მოთხოვნისთანავე</b> მიიღოს ეს გადაწყვეტილება (36-ე მუხლის მე-3 პუნქტი)
არა უგვიანეს მე-40 დღისა	17 სექტემბერი სამშაბათი	<p>1. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, ხოლო არა რეგისტრირებულმა პარტიამ ცესკოში ერთდროულად პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და მის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის გავლის მიზნით, ცესკოს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 26 530 (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0,75 პროცენტი) ამომრჩეველის ხელმოწერით (99-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 185<sup>3</sup>-ე მუხლი, ცესკოს განკარგულებები №163/2013, №255/2013)</p> <p>➤ ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიას საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით, მისი წარდგენიდან <b>3 დღეში</b>. თუ მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა აღმოჩნდა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, ან შემოწმების შედეგად გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება შესაბამის საარჩევნო სუბიექტს და ეძლევა <b>2 დღის</b> ვადა ხარვეზების შესავსებად (38-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები)</p> <p>2. ცესკოს 2013 წლის 4 ივლისის №17/2013 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული ამომრჩეველის მონაცემების ბარათის ტექსტს და ფორმას ამტკიცებს ცესკო განკარგულებით (ცესკოს დადგენილება №17/2013)</p>
არა უგვიანეს 39-ე დღისა	18 სექტემბერი ოთხშაბათი	თავდაცვის სამინისტრო ცესკოს გადასცემს ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ყველა იმ მონაცემს, რომელთა საფუძველზეც ცესკო არაუგვიანეს 2013 წლის <b>10 ოქტომბრისა</b> ადგენს სპეციალურ სიებს (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)
არა უგვიანეს 38-ე დღისა	19 სექტემბერი ხუთშაბათი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა მიმართოს ცესკოს (56-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013)
არა უგვიანეს 37-ე დღისა	20 სექტემბერი პარასკევი	ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიას საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით. თუ მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა აღმოჩნდა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, ან შემოწმების შედეგად გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება შესაბამის საარჩევნო სუბიექტს და ეძლევა <b>2 დღის</b> ვადა ხარვეზების შესავსებად (38-ე

		<i>მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები) (ბოლო ვადა)</i>
არა უგვიანეს 35-ე დღისა	22 სექტემბერი კვირა	მხარდამჭერთა სიაში ხარვეზების შევსების <b>ბოლო ვადა</b> (38-ე მუხლის მე-2 პუნქტი)
არა უგვიანეს 34-ე დღისა	23 სექტემბერი ორშაბათი	იმართება საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები, რომელიც მოიწვევა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე (25-ე მუხლის 21-ე პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</li> <li>➤ საუბნო საარჩევნო კომისია <b>პირველივე შეკრების დღეს</b> საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს ამომრჩეველთა სიებსა და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ წესს (34-ე მუხლის პირველი პუნქტი)</li> </ul>
არა უგვიანეს 30-ე დღისა	27 სექტემბერი პარასკევი	1. ცესკოს თავმჯდომარე განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს (მე-100 მუხლის პირველი პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციიდან <b>3 დღის</b> ვადაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას (მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი)</li> <li>➤ ცესკო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს <b>მე-6 დღისა</b> პრესიტა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ (მე-100 მუხლის მე-4 პუნქტი)</li> </ul> <p>2. ცესკო სხვა სახელმწიფოში ქმნის საარჩევნო უბნებს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე (არანაკლებ 20 და არაუმეტეს 3000 ამომრჩევლისთვის) და შექმნასთან ერთად აცხადებს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. ამ საარჩევნო უბნების შედეგებს ცალკე ოქმით აჯამებს ცესკო (23-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ცესკოს განკარგულებები №169/2013, №255/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უფლებამოსილი პარტიები სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას წარუდგენენ ცესკოს, საარჩევნო უბნის შექმნის შემდეგ (25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)</li> <li>➤ ცესკო პრესიტა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს, შექმნიდან არა უგვიანეს <b>5 დღისა</b> (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</li> </ul>
30-ე დღისათვის	27 სექტემბერი პარასკევი	თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში <b>3 დღის</b> ვადაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე) (25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №168/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უადრეს 30-ე დღისა	27 სექტემბერი პარასკევი	საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება (ცესკოს დადგენილება №17/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უგვიანეს 29-ე დღისა	28 სექტემბერი შაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას (25-ე მუხლის მე-7 პუნქტი) <p>2. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის <b>საწყისი ვადა</b> (ცესკოს განკარგულება №169/2013)</p>

არა უგვიანეს 27-ე დღისა	30 სექტემბერი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას (მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>2. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე) (25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №168/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></li> </ol>
არა უგვიანეს 25-ე დღისა	2 ოქტომბერი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განისაზღვრება პრეზიდენტობის კანდიდატის რიგითი ნომერი საარჩევნო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით (102-ე მუხლის პირველი პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>2. ეტლით მოსარგებლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლები კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაციის მოთხოვნის განცხადებით მიმართავენ საუბნო საარჩევნო კომისიას (58-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</li> <li>3. ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უზნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>4. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის <b>ბოლო ვადა</b> (ცესკოს განკარგულება №169/2013)</li> </ol>
არა უგვიანეს 24-ე დღისა	3 ოქტომბერი ხუთშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ (მე-100 მუხლის მე-4 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>2. ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პრეზიდენტობის კანდიდატების სიებს (102-ე მუხლის მე-7 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> </ol>
არა უადრეს 24-ე დღისა	3 ოქტომბერი ხუთშაბათი	ცესკო ირჩევს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს (25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №169/2013) <b>(საწყისი ვადა)</b>
არა უგვიანეს 21-ე დღისა	6 ოქტომბერი კვირა	სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში იმ ამომრჩევლების რეგისტრაციის <b>ბოლო ვადა</b> , რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი)
არა უგვიანეს მე-20 დღისა	7 ოქტომბერი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცესკო ირჩევს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს (25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №169/2013) <b>(ბოლო ვადა)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება კომისიის შექმნიდან არა უგვიანეს <b>მე-3 დღისა</b>, რომელიც მოიწვევა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე (25-ე მუხლის 21-ე პუნქტი)</li> </ul> </li> <li>2. უფლებამოსილი პარტიები ცესკოს წარუდგენენ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (25-ე მუხლის მე-6 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №169/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>3. შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს და ცესკოს გადასცემს კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების სიას, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე იმ ამომრჩევლების სიას, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს <b>21-ე დღისა</b> რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი)</li> <li>4. ეტლით მოსარგებლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაციის შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადაცემის <b>ბოლო ვადა</b>, რის საფუძველზეც</li> </ol>



		<p>სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაცია ეტლით მოსარგებლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის (58-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>5. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება (ცესკოს დადგენილება №17/2013) (ბოლო ვადა)</p>
მე-19 დღისათვის	8 ოქტომბერი სამშაბათი	<p>თუ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, ცესკოს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში 3 დღის ვადაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, (25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №169/2013)</p>
არა უგვიანეს მე-17 დღისა	10 ოქტომბერი ხუთშაბათი	<p>1. იმართება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, რომელიც მოიწვევა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე (25-ე მუხლის 21-ე პუნქტი) (ბოლო ვადა)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცესკო სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს ცესკოს თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილ ამომრჩეველთა სპეციალური სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</li> <li>➤ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია პირველივე შეკრების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიებსა და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ წესს (34-ე მუხლის პირველი პუნქტი)</li> </ul> <p>2. იმ ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის გავლის ბოლო ვადა, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ-ის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ გადაწყვეტილებით. ასეთ ამომრჩეველზე ვრცელდება საარჩევნო კოდექსის 185<sup>4</sup>-ე მუხლით დადგენილი წესი (185<sup>4</sup>-ე მუხლი, ცესკოს განკარგულება №255/2013)</p> <p>3. თავდაცვის სამინისტროს მიერ გადმოცემული ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ მონაცემების საფუძველზე ცესკო ადგენს სპეციალურ სიებს. აკრძალულია საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა ამ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სიების გასაჯაროება (გამოქვეყნება, ასლების გადაღება, გაცემა და შესაბამის უბნებში მათი ფოტოვიდეოგადაღება) (185<sup>5</sup>-ე მუხლი, ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)</p>
არა უგვიანეს მე-16 დღისა	11 ოქტომბერი პარასკევი	<p>1. საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებელი) ძალებისა და შენაერთების ვადიან და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც სურს ხმის მიცემა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (32-ე მუხლის მე-7 პუნქტი)</p> <p>2. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციასა და ამომრჩეველს უფლება აქვთ, გაეცნონ ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ამომრჩეველს შეუძლია განცხადებით</p>

		<p>მიმართოს საარჩევნო კომისიას ან/და იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს (31-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013) (ბოლო ვადა)</p> <p>3. თუ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, ცესკოს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე) (25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №169/2013) (ბოლო ვადა)</p>
არა უგვიანეს მე-15 დღისა	12 ოქტომბერი შაბათი	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევაში (სამხედრო ნაწილი, სავადმყოფო, სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება და სხვა) ქმნის საარჩევნო უბანს (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი)</p> <p>➤ საოლქო საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს, შექმნიდან <b>2 დღის</b> ვადაში (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</p> <p>2. სავადმყოფოსა და სამხედრო ნაწილს, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით მიამაგრებს მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო უბანს (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი)</p>
მე-15 დღიდან	12 ოქტომბერი შაბათი	აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (29-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
არა უგვიანეს მე-14 დღისა	13 ოქტომბერი კვირა	<p>საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან <b>2 კალენდარული დღის</b> ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა (31-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p> <p>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის <b>მომდევნო დღიდან</b>, მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს (31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</p> <p>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ <b>2 დღის</b> ვადაში გადაეცემა ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს (31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013)</p> <p>➤ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან <b>2 დღის</b> ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი)</p> <p>➤ სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება <b>2 დღის</b> ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-11 დღისა, უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013)</p>
არა უადრეს მე-14 დღისა	13 ოქტომბერი კვირა	<p>1. უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას (25-ე მუხლის მე-6 პუნქტი) (საწყისი ვადა)</p> <p>2. საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს (ცესკოს განკარგულება №170/2013)</p>

არა უგვიანეს მე-13 დღისა	14 ოქტომბერი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (ბოლო ვადა)
მე-13 დღიდან	14 ოქტომბერი ორშაბათი	ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (31-ე მუხლის მე-13 პუნქტი) (საწყისი ვადა)
არა უგვიანეს მე-12 დღისა	15 ოქტომბერი სამშაბათი	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ, გადაეცემა ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს (31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013) (ბოლო ვადა)</p> <p>➤ შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ, ეგზავნება ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასახვის მიზნით, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოს (ცესკოს დადგენილება №17/2013)</p> <p>2. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p>
არა უგვიანეს მე-11 დღისა	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც ეხება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებას, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში (31-ე მუხლის მე-10 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №17/2013) (ბოლო ვადა)
მე-11 დღისთვის	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	<b>მთავრდება</b> გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსისთვის კონკურსანტთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში (ცესკოს განკარგულება №170/2013)
არა უგვიანეს მე-10 დღისა	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	<p>1. ცესკო აქვეყნებს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას (25-ე მუხლის მე-7 პუნქტი) (ბოლო ვადა)</p> <p>2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა (მე-100 მუხლის მე-5 პუნქტი)</p> <p>3. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია განცხადებით მიმართავს შესაბამის საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან <b>5 დღის</b> ვადაში წყვეტს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>4. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს განკარგულება №252/2013-ის შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა და მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით (ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013)</p>
არა უადრეს მე-10 დღისა	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს (25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №170/2013) (საწყისი ვადა)

მე-10 დღიდან	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით წყვეტს იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია და წარადგინა განცხადება და შესაბამისი დოკუმენტები ( <i>საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავსულების ცნობა</i> ). ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან <b>2 დღის</b> ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია <b>2 დღეზე</b> ნაკლები – <b>დაუყოვნებლივ</b> . უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ( <i>31-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები</i> )
არა უგვიანეს მე-9 დღისა	18 ოქტომბერი პარასკევი	1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ( <i>25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №170/2013</i> ) ( <b>ბოლო ვადა</b> ) 2. უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას ( <i>25-ე მუხლის მე-6 პუნქტი</i> ) ( <b>ბოლო ვადა</b> )
არა უგვიანეს მე-8 დღისა	19 ოქტომბერი შაბათი	პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრები არიან მოთავსებულნი, უნდა გამოყოფონ ადგილები ფლაიერების/ბუკლეტების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განსათავსებლად ( <i>ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013</i> )
მე-8 დღისათვის	19 ოქტომბერი შაბათი	თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში <b>3 დღის</b> ვადაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ( <i>შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე</i> ) ( <i>25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №170/2013</i> ) ( <b>საწყისი ვადა</b> )
არა უადრეს მე-8 დღიდან	19 ოქტომბერი შაბათი	1. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე პატიმრები არიან მოთავსებულნი, განხორციელდეს მათი ინფორმირება არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ ( <i>მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები</i> ) ( <i>ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013</i> ) ( <b>საწყისი ვადა</b> ) 2. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საარჩევნო სუბიექტებს ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს განკარგულება №252/2013-ით გათვალისწინებული მასალებისა და ინფორმაციის განთავსება შეუძლიათ ამ დაწესებულებებში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებზე ხსენებული მასალების გადაცემის გზით. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც გაიხსნება საარჩევნო უბანი, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიას დაეკისრება პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული ბუკლეტების/ფლაიერების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განთავსებაზე ( <i>ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013</i> ) ( <b>საწყისი ვადა</b> ) 3. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც საარჩევნო უბანი არ გაიხსნება, ბეჭდვითი მასალების/ინფორმაციის განთავსება შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენის გზით, რომელთა წარდგენიდან არაუგვიანეს <b>2 დღისა</b> , შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მის მიერ უფლებამოსილი პირი, პირადად განათავსებს მათ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოყოფილ ადგილებს ან/და სტენდებზე. საოლქო საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილებზე განთავსებისათვის ( <i>ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013</i> )
არა უგვიანეს მე-7 დღისა	20 ოქტომბერი კვირა	1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია განცხადებით მიმართავს ცესკოს. ცესკო განცხადების მიღებიდან <b>2 დღის</b> ვადაში წყვეტს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის, დამკვირვებლის

		<p>(დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი)</p> <p>2. ავღანეთში შექმნილ საარჩევნო უზნებში <b>იმართება კენჭისყრა</b> ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს განკარგულება №251/2013-ით დადგენილი წესით (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013)</p>
<p>არა უგვიანეს მე-6 დღისა</p>	<p>21 ოქტომბერი ორშაბათი</p>	<p>3. იმართება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, რომელიც მოიწვევა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე (25-ე მუხლის 21-ე პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილ ამომრჩეველთა სპეციალური სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</li> <li>➤ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია <b>პირველივე შეკრების დღეს</b> საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიებსა და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ წესს (34-ე მუხლის პირველი პუნქტი)</li> </ul> <p>4. შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს იმ პირთა სიას, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან (32-ე მუხლი პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი)</p> <p>5. შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს იმ პირთა სიას, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან. (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი)</p> <p>6. შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაური ადგენს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებელი) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების სიას, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგების გათვალისწინებით. (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ,გ" ქვეპუნქტი)</p>
<p>არა უგვიანეს მე-5 დღისა</p>	<p>22 ოქტომბერი სამშაბათი</p>	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას (25-ე მუხლის მე-7 პუნქტი)</p> <p>2. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში (31-ე მუხლის მე-14 პუნქტი)</p> <p>3. საოლქო საარჩევნო კომისიას სპეციალურ სიაში შეჰყავს საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი)</p> <p>4. შესაბამისი საარჩევნო კომისია წყვეტს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>5. ცესკოს მიერ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ცესკოს მდივანს წარუდგენს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სიას, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს წარუდგენს საოლქო ან/და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სიას (მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საარჩევნო კომისიის მდივანი ადგილობრივ დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს <b>მე-2 დღისა</b> რეგისტრაციაში ატარებს</li> </ul>

		<p>დამკვირვებლებს და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი (მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი)</p> <p>6. ცესკო წყვეტს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი)</p> <p>7. თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (შეავსოს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე) (25-ე მუხლის მე-8 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></p>
არა უგვიანეს მე-4 დღისა	23 ოქტომბერი ოთხშაბათი	<p>1. აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება (30-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>2. ავლანეთში შექმნილ საარჩევნო უბნებში <b>20 ოქტომბერს</b> ფორს-მაჟორული გარემოებების შესაძლო მოვლენების (ქვიშის ქარიშხალი, არასაფრენი ამინდი, აფეთქება და სხვა გართულებული სამხედრო გარემოებების გამო) დადგომის შემთხვევაში კენჭისყრა შეიძლება გაიმართოს ამ გარემოებების აღმოფხვრიდან მომდევნო დღეს (ცესკოს განკარგულებები №251/2013, №255/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></p>
არა უგვიანეს მე-3 დღისა	24 ოქტომბერი ხუთშაბათი	<p>1. საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს სპეციალურ სიებს და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას (32-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>2. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას (33-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩეველების შესახებ ინფორმაცია <b>დაუყოვნებლივ</b> უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე (33-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</li> <li>➤ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი <b>შედგენისთანავე</b> თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში (33-ე მუხლის მე-6 პუნქტი)</li> </ul> <p>3. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს დამკვირვებლებს და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი (მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი)</p> <p>4. პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენენ განცხადებას წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ (44-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <p>5. ცესკო რიცხავს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე (43-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>6. საუბნო საარჩევნო კომისია უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს გადასცემს ამომრჩეველის ბარათს (35-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p>
არა უგვიანეს მე-2 დღისა	25 ოქტომბერი პარასკევი	<p>1. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <p>2. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილ ამომრჩეველთა ერთიანი სიების დაზუსტებულ საბოლოო ვერსიას (საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილებული ვერსიები). ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნილებული ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში</p>

		<p>თვალსაჩინო ადგილას (31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</p> <p>3. საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას (33-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>4. ცესკოს მიერ რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია ცესკოს მდივანს წარუდგენს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციასა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს (მე-40 მუხლის მე-6 პუნქტი)</p> <p>5. ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს (63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)</p> <p>6. დილის <b>8 საათის</b> შემდეგ აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</p>
<p>არა უგვიანეს კენჭისყრის წინა დღისა</p>	<p>26 ოქტომბერი შაბათი</p>	<p>1. 20 საათამდე საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს (63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)</p> <p>2. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტებულ წარმომადგენლებს სათანადო მოწმობას გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <p>3. <b>ამოღებულია</b> (ცესკოს განკარგულება №255/2013)</p> <p>4. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე პატიმრები არიან მოთავსებულნი, განხორციელდეს მათი ინფორმირება არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ (მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები) (ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <p>5. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საარჩევნო სუბიექტებს ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს განკარგულება №252/2013-ით გათვალისწინებული მასალებისა და ინფორმაციის განთავსება შეუძლიათ ამ დაწესებულებებში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებზე ხსენებული მასალების გადაცემის გზით. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც გაიხსნება საარჩევნო უბანი, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიას დაეკისრება პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული ბუკლეტების/ფლაერების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განთავსებაზე (ცესკოს განკარგულებები №252/2013, №255/2013) <b>(ბოლო ვადა)</b></p>
<p>არჩევნების დღე</p>	<p>27 ოქტომბერი კვირა</p>	<p>1. <b>ამოღებულია</b> (ცესკოს განკარგულება №230/2013)</p> <p>2. <b>აკრძალულია</b> წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში (51-ე მუხლის მე-16 პუნქტი)</p> <p>3. <b>აკრძალულია</b> არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის <b>20 საათამდე</b>, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</p> <p>4. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება <b>აკრძალულია</b> (58-ე მუხლის მე-6 პუნქტი)</p> <p>5. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №42/2012-ით განსაზღვრული წესის შესაბამისად (მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი, ცესკოს დადგენილება №42/2012)</p> <p>6. <b>7 საათზე</b> იხსნება საარჩევნო უბანი და ტარდება კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები (61-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <p>7. <b>8 საათზე</b> კენჭისყრის შენობაში იწყება კენჭისყრა (61-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</p>

		<p>8. კენჭისყრის დროს <b>აკრძალულია</b> კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა (<i>მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი</i>)</p> <p>9. <b>9 საათიდან 19 საათამდე</b> მიმდინარეობს ხმის მიცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს <b>20 საათისა</b> (<i>66-ე მუხლის პირველი პუნქტი</i>)</li> </ul> <p>10. საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია და არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით კენჭისყრის დღეს მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას. შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს (<i>31-ე მუხლის მე-12 პუნქტი</i>)</p> <p>11. <b>12 საათს და 17 საათზე</b>, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში (<i>65-ე მუხლის მე-6 პუნქტი</i>)</p> <p>12. <b>20 საათზე</b> იკეტება კენჭისყრის შენობა. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას (<i>65-ე მუხლის მე-8 პუნქტი</i>)</p> <p>13. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამოწვევის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბნის შენობაში შეაქვთ გამოწვევის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და საარჩევნო დოკუმენტაცია (<i>65-ე მუხლის მე-9 პუნქტი</i>)</p> <p>14. კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს <b>20 საათამდე</b> ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა (<i>მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი</i>)</p> <p>15. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი <b>დაუყოვნებლივ</b>, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით (<i>მათ შორის, ფაქსით, სადაც არის ამის შესაძლებლობა</i>) გაუგზავნოს ცესკოს (<i>71-ე მუხლის მე-14 პუნქტი</i>)</p> <p>16. ცესკო უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/ არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და დაუყოვნებლივ განთავსებას ცესკოს ვებგვერდზე (<i>მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ჟ" ქვეპუნქტი</i>)</p> <p>17. <b>აკრძალულია</b> საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა (<i>42-ე მუხლის მე-6 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013</i>)</p>
კენჭისყრის დღის მომდევნო დღიდან	28 ოქტომბერი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით და საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით ( <i>71-ე მუხლის მე-9 პუნქტი</i> )
არა უგვიანეს მე-11 დღისა	7 ნოემბერი ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგებს, ადგენს შემაჯამებელ ოქმს და არა უგვიანეს <b>მომდევნო</b> დღისა გადასცემს ცესკოს ( <i>75-ე მუხლის პირველი პუნქტი</i> )



<p>არა უგვიანეს მე-18 დღისა</p>	<p>14 ნომბერი ხუთშაბათი</p>	<p>საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, მიიღებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013)</p>
<p>არა უგვიანეს მე-20 დღისა</p>	<p>16 ნომბერი შაბათი</p>	<p>ცესკო აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც მტკიცდება ცესკოს განკარგულებით (104-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს მას პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს (76-ე მუხლის მე-7 პუნქტი)</li> <li>➤ შედეგების შეჯამებიდან <b>5 დღის</b> ვადაში ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ (104-ე მუხლის მე-6 პუნქტი)</li> <li>➤ თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან <b>15 დღის</b> ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი)</li> <li>➤ არჩევნების შედეგების შეჯამებიდან <b>60 დღის</b> ვადაში ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი)</li> </ul>
<p>არა უგვიანეს 25-ე დღისა</p>	<p>21 ნომბერი ხუთშაბათი</p>	<p>ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ (104-ე მუხლის მე-6 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკო. არჩევნების მეორე ტური იმართება არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან <b>ორი კვირის თავზე</b> (105-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</li> <li>➤ საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან <b>15 დღის</b> ვადაში (46-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</li> <li>➤ საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს <b>1 თვისა</b>, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013)</li> </ul>
<p>არა უგვიანეს 30-ე დღისა</p>	<p>26 ნომბერი სამშაბათი</p>	<p>საოლქო საარჩევნო კომისია წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საოლქო საარჩევნო კომისია ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან ანგარიშსწორების შეწყვეტიდან <b>10 დღის</b> ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</li> </ul>
<p>არა უგვიანეს 35-ე დღისა</p>	<p>1 დეკემბერი კვირა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, თუ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხის სრულად ათვისება (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი) <b>(ბოლო ვადა)</b></li> <li>2. საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, ცესკოს არჩევნების შედეგების</li> </ol>

		შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე თანხა ერიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (56-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013) (ბოლო ვადა)
არა უგვიანეს მე-40 დღისა	6 დეკემბერი პარასკევი	<ol style="list-style-type: none"> <li>იმართება არჩევნების მეორე ტური (105-ე მუხლის მე-2 პუნქტი) (ბოლო ვადა)</li> <li>საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (46-ე მუხლის მე-8 პუნქტი) (ბოლო ვადა)</li> <li>საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი) (ბოლო ვადა) <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</li> </ul> </li> </ol>
არა უგვიანეს 54-ე დღისა	20 დეკემბერი პარასკევი	საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს (53-ე მუხლის მე-5 პუნქტი) (ბოლო ვადა)
არა უგვიანეს 55-ე დღისა	21 დეკემბერი შაბათი	საარჩევნო სუბიექტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ დასკვნის წარდგენის მომენტისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ფულადი სახსრების წყაროს მითითებით (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №255/2013) (ბოლო ვადა)
არა უგვიანეს მე-80 დღისა	15 იანვარი ოთხშაბათი	ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "კ" ქვეპუნქტი) (ბოლო ვადა)